პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 197 (9357)

ოთხშაბათი

20

აგვისტო

1952 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1952 წლის 5 ოქტომბერს მოწვეულია ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — საბჭოთა ხალხის მებრძოლებზე გამოგბრძმედილ სახელოვან ავანგარდს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საკავშირო კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციის საყურადღებოდ

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნას 1952 წლის 5 ოქტომბერს საკავშირო კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობა.

XIX ყრილობის დღის წესრიგი:

1. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მ. მალენკოვი.
2. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. პ. გ. მოსკატოვი.
3. პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ზ. საბუროვი.
4. ცვლილებები საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში — მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.
5. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა და ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი:

1) ერთი დელეგატი გაღამწყვეტი ხმით პარტიის 5.000 წევრზე;
2) ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის 5.000 კანდიდატზე.
3) XIX პარტიული ყრილობის დელეგატები აირჩევიან პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით
4) რუსეთის სფსრ პარტორგანიზაციები დელეგატებს აირჩევენ ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულ კონფერენციებზე. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში დელეგატებს აირჩევენ საოლქო პარტიულ კონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე—მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების შეხედულებისამებრ.
5) კომუნისტები, რომლებიც საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასაზღვრო ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებიან, პარტიის XIX ყრილობის დელეგატებს აირჩევენ დანარჩენ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

• • •

ქვემოთ იბეჭდება პროექტი პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(ყრილობის დღის წესრიგის მე-3 პუნქტი)

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას და კულტურული დონის ამაღლებას.

ამის შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მისცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგი დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

I. მრეწველობის დარგში

1. დაწესდეს ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების დონის ამაღლება, დაახლოებით, 70 პროცენტით, ამასთან მრეწველობის მთელი საერთო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ტემპი, დაახლოებით, 12 პროცენტით. განისაზღვროს წარმოების საშუალებათა („ა“ ჯგუფი) წარმოების ზრდის ტემპი 13 პროცენტის ოდენობით და მოხმარების საგნების („ბ“ ჯგუფი) წარმოებისა 11 პროცენტით.

2. გათვალისწინებულ იქნას სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების ზრდა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით, დაახლოებით, შემდეგი ოდენობით:

თუჯი	— 76%
ფოლადი	— 62%
ნაგლინი	— 64%
ქვანახშირი	— 43%
ნავთობი	— 85%
ელექტროენერგია	— 80%
ორთქლის ტურბინები	— 2,3-ჯერ
ჰიდროტურბინები	— 7,8-ჯერ
ორთქლის ქვაბები	— 2,7-ჯერ
მეტალურგიული მოწყობილობა	— 85%
ნავთის აპარატურა	— 3,5-ჯერ
მსხვილი ლითონსაჭრელი ჩარხები	— 2,6-ჯერ
ავტომობილები	— 20%
ტრაქტორები	— 19%
კალცინირებული სოდა	— 84%
კაუსტიკური სოდა	— 79%
მინერალური სასუქები	— 88%
სინთეზური კაუჩუკი	— 82%
ცემენტი	— 2,2-ჯერ
სამასალე მერქნის გამოზიდვა	— 56%
ქაღალდი	— 46%
ბამბის ქსოვილები	— 61%
შალის ქსოვილები	— 54%
ტყავის ფეხსაცმელი	— 55%
მაქრის ფხვნილი	— 78%
ხორცი	— 92%
თევზი	— 58%
ერბო-კარაქი	— 72%
მცენარეული ზეთი	— 77%
კონსერვები	— 2,1-ჯერ

3. სამრეწველო წარმოების შემდგომი აღმავლობის გეგმის შესაბამისად 1951-1955 წლებში გადიდდეს მრეწველობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, დაახლოებით, 2-ჯერ 1946-1950 წლებთან შედარებით. ახალი საწარმოებისა და აგრეგატების ამუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფილ იქნას მოქმედი საწარმოების სიმძლავრეების გადიდება მათი რეკონსტრუქციით, ახალი მოწყობილობის დადგმით, წარმოების მექანიზაციითა და ინტენსიფიკაციით და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით. გამოყენებულ იქნას არსებულ საწარმოთა გაფართოება როგორც უმნიშვნელოვანესი რეზერვი წარმოების გადიდებისა, რაც შეიძლება ნაკლები ხარჯებით. შეიქმნას მეტალურგიული საწარმოების, ელექტროსადგურების, ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების და ქვანახშირის შახტების მშენებლობაში მარაგნამეტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის ამ დარგების საჭირო განვითარება შემდგომ წლებში.

უზრუნველყოფილ იქნას ახალ ხუთწლედში სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის გეოგრაფიული განლაგების გაუმჯობესება, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული მრეწველობის შემდგომი მიახლოება ნედლეულისა და სათბობის წყაროებთან, რათა აღმოფხვრილ იქნას არარაციონალური და მეტისმეტად შორეული გადაზიდვები.

4. შავი მეტალურგიის დარგში შავი ლითონების წარმოების შემდგომ ზრდასთან ერთად გაფართოვდეს სორტამენტი და მნიშვნელოვნად გადიდდეს ნაგლინის დეფიციტურ სახეობათა წარმოება, კერძოდ, სქელფურცლოვანი ფოლადის წარმოება, დაახლოებით 80 პროცენტით, წვრილხარისხოვანი ფოლადისა და მსხვილი მავთულისა — 2,1-ჯერ და უჟანგავი ფურცლოვანი ფოლადისა—3,1-ჯერ. განვითარებულ იქნას ეკონომიური სახეობისა და პროფილების ნაგლინის წარმოება.

გადიდდეს მანქანათმშენებლობის საჭიროებისათვის სპეციალური ფოლადებისა და შენადნობების წარმოება და გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

უზრუნველყოფილ იქნას მეტალურგიული საწარმოების მოქმედ სიმძლავრეთა გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება. გაძლიერდეს მუშაობა მეტალურგიული პროცესების ინტენსიფიკაციისათვის, მეტალურგიული აგრეგატების და შრომატევადი სამუშაოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის შავი მეტალურგიის საწარმოებში.

მეხუთე ხუთწლედში, მეოთხე ხუთწლედთან შედარებით, გადიდდეს საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავება თუჯის ხაზით, დაახლოებით, 32 პროცენტით, ფოლადისა — 42 პროცენტით, ნაგლინისა — სულ ცოტა ერთიორად, კოქსისა — 80 პროცენტით და რკინის მადნისა — ერთისამად.

სამხრეთის, ურალის, ციმბირის, ცენტრისა და ჩრდილო დასავლეთის რაიონებში შავი მეტალურგიის განვითარებასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნას მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი განვითარება ამიერკავკასიის რაიონებში.

გათვალისწინებულ იქნას შავი ლითონების წარმოების განვითარება ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში მცირე გადამამუშავებელი მეტალურგიული ქარხნების მშენებლობის გზით.

5. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ფერადი ლითონების წარმოება. ხუთწლედის მანძილზე წარმოება გადიდდეს, დაახლოებით, შემდეგი ოდენობით: რაფინირებული სპილენძისა 90 პროცენტით, ტყვიისა 2,7-ჯერ, ალუმინის სულ მცირე 2,6-ჯერ, თუთიისა 2,5-ჯერ, ნიკელისა 53 პროცენტით და კალისა 80 პროცენტით.

მექანიზებულ იქნას სამთო და შრომატევადი სამუშაოები, ავტომატიზებულ და ინტენსიფიცირებულ იქნას წარმოების პროცესები, გადიდდეს მადნიდან ლითონების კომპლექსური ამოღება, უზრუნველყოფილ იქნას მაღალი მარკების ლითონის გამოშვების შემდგომი ზრდა, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს მოქმედი საწარმოების სიმძლავრეთა გამოყენება და აშენდეს ახალი საწარმოები.

6. ელექტროფიკაციის დარგში უზრუნველყოფილ იქნას ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდის მაღალი ტემპი იმ მიზნით, რომ უფრო სრულად იქნას დაკმაყოფილებული სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროება ელექტროენერგიით და გადიდდეს რეზერვი ენერგეტიკულ სისტემებში.

ხუთწლედის მანძილზე გადიდებულ იქნას ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე, დაახლოებით, ერთიორად, ხოლო ჰიდროელექტროსადგურებისა — ერთისამად, ამასთან თბოელექტროსადგურების ნაწილში უზრუნველყოფილ იქნას უწინარეს ყოვლისა მოქმედ საწარმოთა გაფართოება. ამუშავდეს დიდი ჰიდროელექტროსადგურები, მათ შორის კუიბიშევისა 2.100 ათასი კილოვატი სიმძლავრისა, აგრეთვე კამისა, გორკისა, მინგეჩაურისა, უსტ-კამენოგორსკისა და სხვები 1.916 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრით. განხორციელდეს კუიბიშევ-მოსკოვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და გადაცემულ იქნას საექსპლოატაციოდ.

გაჩაღდეს სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყოს ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა: ჩებოკსარისა ვოლგაზე, ვოტკინისა კამაზე, ბუხტარმინსკისა ირტიშზე და მთელი რიგი სხვა ჰიდროელექტროსადგურებისა.

დაიწყოს სამუშაოები მდინარე ანგარის ენერგეტიკული რესურსების გამოსაყენებლად იაფი ელექტროენერგიისა და ადგილობრივი ნედლეულის წყაროების ბაზაზე ალუმინის, ქიმიური, სამთამადნო და სხვა დარგების მრეწველობის განვითარებისათვის.

სამხრეთის, ურალის, კუზბასის ელექტრომომარაგების სერიოზული გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ამ რაიონებში რაიონული და საქარხნო თბოელექტროსადგურების სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი გადიდება. ქალაქებისა და რაიონების ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად დიდი ელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად განხორციელდეს მცირე და საშუალო ელექტროსადგურების მშენებლობა.

შემდგომი ინდუსტრიალიზაციის ამოცანებთან დაკავშირებით უზრუნველყოფილ იქნას ლატვის, ლატვიის და ესტონეთის სს რესპუბლიკებში ელექტროენერგიის გამომუშავების 2 — 2,5-ჯერ გადიდება. აშენდეს ნარვის ჰიდროელექტროსადგური, რიგის თბოელექტროცენტრალი და გაჩაღდეს კაუნასის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

უზრუნველყოფილ იქნას თბოელექტროცენტრალებისა და თბოქსელების მშენებლობა ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოების ფართო თბოფიკაციის განსახორციელებლად.

განხორციელდეს ელექტროსადგურებში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ფართოდ გამოყენება. დამთავრდეს რაიონული ჰიდროელექტროსადგურების სრული ავტომატიზაცია, აგრეთვე დაიწყოს ტელემექანიზაციის დანერგვა ენერგეტიკულ სისტემებში.

7. უზრუნველყოფილ იქნას ნავთის მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპი. გათვალისწინებულ იქნას ნავთობის ამოღების შემდგომი განვითარება ნავთობის საზღვაო საბადოებში.

ნავთობის ამოღების დასახული ზრდის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას ნავთგადამმუშავებელი მრეწველობის განვითარება და ნავთგადამმუშავებელი ქარხნები მიუახლოვდეს ნავთპროდუქტების მოხმარების რაიონებს.

ხუთწლედის განმავლობაში გადიდდეს ნავთობის პირველადი გადამუშავების ქარხნების სიმძლავრეები, დაახლოებით, 2-ჯერ და ნედლეულის კრეკირების ქარხნებისა — 2,7-ჯერ, ამასთან გათვალისწინებულ იქნას ნავთობის გადამუშავების მნიშვნელოვანი გაღრმავება და ნათელი ნავთპროდუქტების გამოსავლის გადიდება როგორც მოქმედ, ისე ახლად ამუშავებულ ნავთგადამმუშავებელ ქარხნებში.

განვითარდეს ხელოვნური თხევადი სათბობის წარმოება.

მნიშვნელოვანი ოდენობით გადიდდეს მაგისტრალური ნავთსადენების და ნავთობისა და ნავთპროდუქტების შესანახავ სატევთა მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

8. უზრუნველყოფილ იქნას გაზის მრეწველობის შემდგომი განვითარება. ხუთწლედის განმავლობაში დაახლოებით 80 პროცენტით გადიდდეს ბუნებრივი გაზის და მასთან ერთად ნავთობის გაზის ამოღება, აგრეთვე ქვანახშირისა და ფიქალის გაზის წარმოება. გაფართოვდეს გაზის გამოყენება საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, მისი გამოყენება ავტომობილის სათბობად და გაზიდან ქიმიური პროდუქტების მიღება.

გადიდდეს ფიქალის ხელოვნური გაზის წარმოება ესტონეთის სს რესპუბლიკაში, დაახლოებით, 2,2-ჯერ, დამთავრდეს კოხტლა-იარვე — ტალინის გაზსადენის მშენებლობა და გადაეცეს იგი საექსპლოატაციოდ.

9. ქვანახშირის მრეწველობაში გათვალისწინებულ იქნას საკოქსე ქვანახშირის ამოღების უფრო სწრაფი ზრდა და ხუთწლედის განმავლობაში ამ ქვანახშირის ამოღება გადიდდეს სულ ცოტა 50 პროცენტით.

გაუმჯობესდეს ქვანახშირის ხარისხი, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მისი გაუხვება და დაბრიკეტება; ხუთწლედის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას ქვანახშირის გაუხვების ზრდა, დაახლოებით, 2,7-ჯერ.

სისტემატურად გაუმჯობესდეს ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდები. უფრო ფართოდ დაინერგოს უახლესი სამთო მანქანები და მექანიზმები ქვანახშირის მრეწველობის კომპლექსური მექანიზაციისათვის, შემდგომი ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის და შრომის ნაყოფიერების გადიდების უზრუნველსაყოფად. ყოველმხრივ განვითარდეს ქვანახშირის ამოღების ყველაზე შრომატევადი პროცესების და, უწინარეს ყოვლისა, ლავებში ქვანახშირის დაყრის, ქვანახშირისა და ქანის დატვირთვის მექანიზაცია მოსამზადებელ გვირაბთა გაყვანის დროს, აგრეთვე უფრო ფართოდ დაინერგოს ლავების გამაგრების მექანიზებული ხერხები.

მეოთხე ხუთწლედთან შედარებით ქვანახშირის შახტების სიმძლავრეთა ამოქმედება გადიდდეს, დაახლოებით, 30 პროცენტით.

უზრუნველყოფილ იქნას ტორფის ამოღების ზრდა ხუთწლედის მანძილზე 27 პროცენტით, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი ქვანახშირის ამოღების შემდგომი განვითარება; გადიდდეს ფიქალის წარმოება 2,3-ჯერ, განსაკუთრებით ესტონეთის სს რესპუბლიკაში. ფიქალ-ქიმიური მრეწველობის განვითარების ბაზაზე გადიდდეს ესტონეთის სს რესპუბლიკაში ხელოვნური თხევადი სათბობის წარმოება ხუთწლედის მანძილზე, დაახლოებით, 80 პროცენტით.

10. გათვალისწინებულ იქნას მანქანათმშენებლობის, როგორც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი მძლავრი ტექნიკური პროგრესის საფუძვლის, განვითარების მაღალი ტემპი. გადიდდეს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება ხუთწლედში, დაახლოებით, 2-ჯერ.

მანქანათმშენებლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს ელექტროსადგურების, შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების, ნავთგადამმუშავებელი და ხელოვნური თხევადი სათბობის მწარმოებელი ქარხნების მშენებლობის სრული უზრუნველყოფა მოწყობილობით. განვითარდეს ჰიდრავლიკური და ორთქლის ტურბინების, გენერატორების, მაღალვოლტიანი აპარატურისა და მართვის სხვადასხვა ხელსაწყოების წარმოება საჭირო რაოდენობით დიდი ჰიდრავლიკური და თბოელექტროსადგურებისათვის, მეტალურგიული, ნავთგადამმუშავებელი და სხვა ქარხნებისათვის, აგრეთვე დიდი ჩარხებისა და სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის წარმოება.

ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს საგლინავი მოწყობილობის წარმოება ერთიორად და უფრო მეტად, გადიდებული სიზუსტის ჩარხებისა, დაახლოებით, ერთიორად, მძიმე სამჭედლო-საწნეხი მანქანებისა — 8-ჯერ, მართვისა და კონტროლის ხელსაწყოების გამოშვება, დაახლოებით, 2,7-ჯერ. განსაზღვროს ქიმიური მოწყობილობის წარმოების ზრდა ხუთწლედში, დაახლოებით, 3,3-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდეს დიზელიანი დიდტვირთიანი, აგრეთვე გაზგენერატორული ავტომობილების გამოშვება.

გადიდდეს 1955 წელს 1950 წელთან შედარებით სატვირთო გემებისა და ტანკერების გამოშვება საზღვაო ფლოტისათვის, დაახლოებით, 2,9-ჯერ, სამდინარო სამგზავრო გემებისა 2,6-ჯერ და თევზსარეწი ფლოტის გემებისა — 3,8-ჯერ.

უზრუნველყოფილ იქნას მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარება: გემთმშენებლობის, ტურბინმშენებლობის და ჩარხმშენებლობისა—ლატვის სს რესპუბლიკაში; ელექტრომანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის და გემთმშენებლობისა—ლატვიის სს რესპუბლიკაში; გემთმშენებლობის და ელექტრომანქანათმშენებლობისა — ესტონეთის სს რესპუბლიკაში.

უზრუნველყოფილ იქნას საამქრო-სატრანსპორტო მოწყობილობის, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მანქანების, საშენ მასალათა წარმოების კომპლექსური მოწყობილობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებისათვის საჭირო ავტომატური მოწყობილობის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. გადიდდეს ახალი საქსოვი დაზგების წარმოება.

განვითარდეს მაღალი წარმადობის მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება ხე-ტყის დამამზადებელი, ცელულოზ-ქაღალდის, ხე-ტყის სახერხი და ხის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის.

ახალი მანქანების კონსტრუირებისას მიღწეულ იქნას მათი წონის შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება.

1951-1955 წლებში უმნიშვნელოვანეს სახეობათა მოწყობილობის გამოშვების დავალებათა შესრულების მიზნით: აშენდეს და ამუშავდეს ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის, საგლინავი მოწყობილობის ახალი ქარხნები და დამთავრდეს მოქმედი ქარხნების რეკონსტრუქცია, დაიწყოს საგლინავი მოწყობილობის, ტურბინებისა და ქვაბების მწარმოებელი ახალი ქარხნების მშენებლობა;

გაფართოვდეს არსებული და ამუშავდეს ახალი სიმძლავრეები ნავთაპარატურის, საამქრო-სატრანსპორტო მოწყობილობის და საშენ მასალათა მრეწველობის კომპლექტური მოწყობილობის წარმოებისათვის;

მნიშვნელოვნად გაფართოვდეს არსებული და ამუშავდეს ახალი სიმძლავრეები დიდი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, აგრეთვე ზუსტი საზომი ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვის ხელსაწყოების წარმოებისათვის.

11. ქიმიურ მრეწველობაში უზრუნველყოფილ იქნას მინერალური სასუქების, სოდისა და სინთეზური კაუჩუკის წარმოების ზრდის რაც შეიძლება მაღალი ტემპი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნავთობის გაზების გამოყენების ბაზაზე კაუჩუკის წარმოების ყოველმხრივ განვითარებას.

გადიდდეს პლასტიკური მასების, საღებავების, ხელოვნური აბრეშუმის ნედლეულის წარმოება და სხვა ქიმიური პროდუქტების ასორტიმენტი. განვითარდეს სინთეზური მასალების — ფერად ლითონთა შემცვლელების წარმოება.

გათვალისწინებულ იქნას ამიაკის, გოგირდის მჟავის, სინთეზური კაუჩუკის, სინთეზური სპირტის, სოდის, მინერალური სასუქების, განსაკუთრებით გრანულირებული სახით, და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ქიმიურ საშუალებათა წარმოების საწარმოო სიმძლავრეთა გადიდება.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში მოეწყოს სუპერფოსფატის წარმოება.

შეიქმნას ნამეტმარაგი მინერალური სასუქების ქარხნების მშენებლობაში, რაც უზრუნველყოფს შემდგომ წლებში მინერალური სასუქების წარმოების საჭირო განვითარებას. მთლიანად გამოყენებულ იქნას ფოსფატური წიდები მინდვრების გასანოყიერებლად.

ფართოდ დაინერგოს ჟანგბადი მრეწველობის სხვადასხვა დარგის ტექნოლოგიურ პროცესებში და, პირველ რიგში, შავ და ფერად მეტალურგიაში, ქვანახშირიდან გაზის წარმოებაში, ცელულოზისა და ცემენტის მრეწველობაში.

12. აღმოიფხვრას სატყეო მრეწველობის ჩამორჩენა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათაგან. გადიდდეს დახერხილი მასალების წარმოება და განვითარდეს დეტალების გამომუშავება წარმოებისა და მშენებლობისათვის. ფართო მასშტაბით განხორციელდეს ხე-ტყის დამზადების ბაზის გადანაცვლება მრავალტყიან რაიონებში,

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(ყრილობის დღის წესრიგის მე-3 პუნქტი)

(დასაბეჭდი)

განსაკუთრებით ჩრდილოეთის, ურალის, დასავლეთ ციმბირისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის რაიონებში, შემცირდეს ტყის ჩეხა ჩვენი ქვეყნის მცირეტყიან რაიონებში. შემცირდეს ხე-ტყის დამზადების სეზონურობა, რისთვისაც ახალ რაიონებში აშენდეს მექანიზებული საწარმოები და უზრუნველყოფილ იქნას ისინი მუდმივი მუშების კადრებით. განხორციელდეს ხე-ტყის დამზადების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის შემდგომი განვითარება. გაუმჯობესდეს მექანიზმების წარმოების ორგანიზაცია და მათი გამოყენება, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ხე-ტყის დამზადებაზე შრომის ნაყოფიერების გადიდება. ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს ხე-ტყის დამზადების განვითარების ახალ რაიონებში ხე-ტყის სახერხი ქარხნების სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემა, დაახლოებით, 8-ჯერ წინა ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაცემულთან შედარებით.

უზრუნველყოფილ იქნას ქაღალდის, ცელულოზის, აბეჯის, ფანერის, სატყეო-ქიმიური და ჰიდროლიზური მრეწველობის ყოველმხრივი განვითარება. გადიდდეს აბეჯის წარმოება სულ ცოტა ერთისამად.

13. სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებულ იქნას ძირითადი საშენი მასალების წარმოების გადიდება ხუთწლედის მანძილზე სულ ცოტა ერთიორად, გაუმჯობესდეს საშენი მასალების ხარისხი და გაფართოვდეს მათი ასორტიმენტი. უზრუნველყოფილ იქნას აგურის წარმოების გადიდება, დაახლოებით, 2,3-ჯერ, შიფერისა — 2,6-ჯერ, გაპრიალებული მინისა — 4-ჯერ. საქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დარგში უფრო მტკიცედ დაინერგოს ახალი პროგრესული საკედლე მასალები, ამასთან გადიდდეს წიდაბეტონისა და ბეტონის დიდი ბლოკების წარმოება. მნიშვნელოვნად გადიდდეს ქარხანაში დამზადებული კერამიკის, თაბაშირის, ბეტონისა და რკინაბეტონის ახალი მაღალხარისხოვანი ნაკეთობა და მოსაპირკეთებელი საშენი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების გამოშვება, რომლებიც ხელს უწყობენ მშენებლობის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას, ამცირებენ მის ღირებულებას და აუმჯობესებენ შენობებისა და ნაგებობათა არქიტექტურულ-სამშენებლო და საექსპლოატაციო თვისებებს. დაწესდეს ურალში, ციმბირში, ვოლგისპირეთის რაიონებში, შორეულ აღმოსავლეთსა და შუა აზიაში, აგრეთვე მსხვილ სამრეწველო რაიონებში, სადაც დიდი მშენებლობა მიმდინარეობს, საშენი მასალების წარმოების გადიდების უფრო მაღალი ტემპი, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირშია. გადიდდეს ცემენტის მრეწველობის სიმძლავრეები, დაახლოებით, 2,1-ჯერ.

14. უზრუნველყოფილ იქნას მასობრივი მოხმარების საგნების წარმოების გადიდების მაღალი ტემპი. გადიდდეს მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება სულ ცოტა 70 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსების გადიდების შესაბამისად განხორციელდეს მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდძალ საწარმოთა, განსაკუთრებით ბამბეულის კომბინატების, ხელოვნური ბოჭკოს ქარხნების, აბრეშუმის, სამკერვალო, სატრიკოტაჟო, ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოების, შაქრის, ზეთსახდელი, ბოსტნეულ-სახმობი ქარხნების, საკონდიტრო, ჩაის, საკონსერვო, ლუდის, მეღვინეობის, ხორცის, თევზის, ერბო-კარაქისა და ყველის მრეწველობის საწარმოების მშენებლობა.

1955 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით ბამბის ქსოვილების გამომუშავების საწარმოო სიმძლავრეები გადიდდეს, დაახლოებით, 32 პროცენტით, ხელოვნური ბოჭკოს გამომუშავებისა — 4,7-ჯერ, ფეხსაცმლისა — 34 პროცენტით, შაქრის ფხვნილის გამომშუშავებელი ქარხნების სიმძლავრეები — 25 პროცენტით, რაფინადი შაქრისა — 70 პროცენტით, ჩაისა—80 პროცენტით, ზეთოვანი თესლის გადამმუშავებელი ზეთსახდელი ქარხნების სიმძლავრეები—2,5-ჯერ, ბოსტნეულსახმობი ქარხნებისა—3,5-ჯერ, თევზის, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების ქარხნებისა—40 პროცენტით, სამაცივრო სატევთა და თევზის გასაყინავი რეფრიჟერატორული ფლოტისა—70 პროცენტით, ხორცკომბინატებისა — 40 პროცენტით, ერბო-კარაქის ქარხნებისა—35 პროცენტით, ყველის ქარხნებისა—2-ჯერ, რძის კონსერვის ქარხნებისა—2,6-ჯერ, მშრალი რძისა — 2-ჯერ, მოუხდელი რძის პროდუქციისა—60 პროცენტით.

ფართოდ დაინერგოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია.

განხორციელდეს თევზის მოშენების დიდი სამუშაოები იმ მიზნით, რომ გადიდდეს თევზის მარაგი, განსაკუთრებით შინაწყალსატევებში.

გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე თევზის ჭერა ლიტვის სს რესპუბლიკაში, დაახლოებით, 3,9-ჯერ, ლატვიის სს რესპუბლიკაში—80 პროცენტით, ესტონეთის სს რესპუბლიკაში—35 პროცენტით. განხორციელდეს ამ რესპუბლიკებში მოქმედი თევზადამმუშავებელი საწარმოების გაფართოება და აშენდეს ახალი ასეთი საწარმოები.

უზრუნველყოფილ იქნას მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის შემდგომი გაუმჯობესება, გაუმჯობესდეს კვების საქონლის შეფუთვა და დაფასოება.

15. გადიდდეს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთწლედის მანძილზე, დაახლოებით, 60 პროცენტით და, პირველ რიგში, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება, საშინაო და სამეურნეო საგნების, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, მოკავშირე რესპუბლიკებში განვითარდეს ნედლეულის საკუთარი ბაზები ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციისათვის. გაუმჯობესდეს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მომსახურების სახელოსნოების მუშაობა. გაძლიერდეს ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობა ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციისადმი.

16. უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარება არსებული სამშენებლო ორგანიზაციების გამაკეთილებისა და გაფართოების საფუძველზე, აგრეთვე შეიქმნას ახალი სამშენებლო ორგანიზაციები დიდი მშენებლობის რაიონებში. განმტკიცებულ იქნან მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა მშენებლობას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რაიონებში, ელექტროსადგურების სამინისტროს და ნავთის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები, აგრეთვე მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ენერგეტიკული და მეტალურგიული მოწყობილობების, ნავთამამარაგებლის, დიდი და უნიკალური ჩარხმშენებლობის, მძიმე სამჭედლო-საწნები მანქანების, საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობების და გემთმშენებლობის ქარხნების მშენებლობას. ფართოდ დაინერგოს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები.

გადიდდეს ლითონის კონსტრუქციების დამამზადებელი ქარხნების სიმძლავრეები სულ ცოტა 2-ჯერ. აშენდეს საჭირო რაოდენობით დიდი ქარხნები ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დასამზადებლად. გაფართოვდეს არსებული და მოეწყოს ახალი რაიონული კარიერები ქვის, ღორღის, ხრეშისა და ქვიშის, აგრეთვე ბუნებრივი ჯიშის ცალეული ქვის მოპოვებისა და დამუშავების კომპლექსური მექანიზაციით. დამთავრდეს ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მექანიზაცია და უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობის ცალეული პროცესების მექანიზაციიდან კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა. ხუთწლედის მანძილზე ექსკავატორების პარკი გადიდდეს, დაახლოებით, 2,5-ჯერ, სკრეპერებისა და ბულდოზერებისა — 3-4-ჯერ, მოძრავი ამწეებისა — 4-5-ჯერ.

გაუმჯობესდეს მშენებლობის საპროექტო საქმე, შემცირდეს დაპროექტების ვადები და დროზე იქნას უზრუნველყოფილი მშენებლობა პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით, ფართოდ დაინერგოს ტიპობრივი დაპროექტება. განმტკიცებულ იქნას საპროექტო ორგანიზაციები კვალიფიციური კადრებით.

17. მრეწველობის ყველა დარგში უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის ხარისხის შემდგომი სერიოზული გაუმჯობესება. გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს ასორტიმენტი, აგრეთვე გადიდდეს დეფიციტური სახეებისა და ხარისხების პროდუქციის წარმოება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად. გადაჭრით დაინერგოს თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტები.

18. იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება ნედლეულით და სათბობი რესურსებით, უზრუნველყოფილ იქნას წიაღში ბუნებრივი სიმდიდრეების ძიების სამუშაოთა შემდგომი განვითარება, წიაღისეულთა და, პირველ რიგში, ფერადი და იშვიათი ლითონების, კოქსადი ქვანახშირის, ალუმინის ნედლეულის, ნავთის, რკინის მდიდარი მადნის და სხვა სახეობის სამრეწველო ნედლეულის მარაგის გამოვლენება.

II. სოფლის მეურნეობის დარგში

1. სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკისა და აგროკულტურის დანერგვის საფუძველზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების გზით.

მიწათმოქმედება უნდა გახდეს კიდევ უფრო პროდუქტიული და კვალიფიციური — განვითარებული ბალახთესვითა და სწორი თესლბრუნვით, ტექნიკური, საკვები, ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესის უფრო მაღალი ხვედრითი წონით.

2. ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, მარცვლეულის საერთო მოსავალი 40-50 პროცენტით, მათ შორის ხორბლისა 55-65 პროცენტით; ნედლი ბამბისა 55-65 პროცენტით; საბოჭკოე სელისა 40-50 პროცენტით; შაქრის ჭარხლისა 65-70 პროცენტით; კარტოფილისა 40-45 პროცენტით; მზესუმზირასი 50-60 პროცენტით; ყურძნისა 55-60 პროცენტით, თამბაქოსი 65-70 პროცენტით და ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა, დაახლოებით, 75 პროცენტით.

გადიდდეს საზეთე სელის, სოიის, არაბისისა და სხვა ზეთოვანი კულტურების წარმოება.

გადიდდეს საკვების წარმოება: თივისა 80-90 პროცენტით, ტუბერიანი მცენარეებისა და ძირხვენებისა 3-4-ჯერ და სილოსისა 2-ჯერ.

გადიდდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე: სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში 20-22 ცენტნერამდე და სარწყავ მიწებზე 30-34 ცენტნერამდე; ვოლგისპირეთის რაიონებში 14-15 ცენტნერამდე და სარწყავ მიწებზე 25-28 ცენტნერამდე; ცენტრალურ-შავნიადაგიან ოლქებში 16-18 ცენტნერამდე და სარწყავ მიწებზე 30-34 ცენტნერამდე; არაშავნიადაგიან ზოლში 17-19 ცენტნერამდე; ურალის, ციმბირისა და ჩრდილოაღმოსავლეთ აზიის რაიონებში 15-16 ცენტნერამდე და სარწყავ მიწებზე 24-26 ცენტნერამდე; ამიერკავკასიის რაიონებში 20-22 ცენტნერამდე და სარწყავ მიწებზე 30-34 ცენტნერამდე ჰექტარზე; ბრინჯის მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე აყვანილ იქნას ჰექტარზე 40-50 ცენტნერამდე.

გადიდდეს ბამბის მოსავლიანობა ჰექტარზე: შუა აზიისა და სამხრეთ აზიის რაიონებში 26-27 ცენტნერამდე; ამიერკავკასიის რაიონებში 25-27 ცენტნერამდე და ევროპული ნაწილის სამხრეთ რაიონებში სარწყავ მიწებზე 11-13 ცენტნერამდე და ურწყავ მიწებზე 5-7 ცენტნერამდე ჰექტარზე.

აყვანილ იქნას მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე:

საბოჭკოე სელისა არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში 4,5-5,5 ცენტნერამდე და ურალისა და ციმბირის რაიონებში 4-5 ცენტნერამდე ჰექტარზე;

შაქრის ჭარხლისა უკრაინის სსრ, მოლდავეთის სსრ და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში 255-265 ცენტნერამდე, ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების რაიონებში 200-210 ცენტნერამდე და შუა აზიისა და აზერბაიჯანის რაიონებში 400-425 ცენტნერამდე ჰექტარზე;

კარტოფილისა არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში 155-175 ცენტნერამდე, ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების რაიონებში 140-160 ცენტნერამდე, სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში 135-155 ცენტნერამდე და ურალისა და ციმბირის რაიონებში 125-145 ცენტნერამდე ჰექტარზე;

მზესუმზირასი უკრაინის სსრ, მოლდავეთის სსრ და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში 17-20 ცენტნერამდე, ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების რაიონებში 14,5-16,5 ცენტნერამდე და ვოლგისპირეთის რაიონებში 10-12 ცენტნერამდე ჰექტარზე.

3. გადიდდეს ბოსტნეულის, კარტოფილისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის, დონბასის, კუზბასის ქალაქებისა და სხვა სამრეწველო ცენტრებისა და დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონებში; შეიქმნას კარტოფილ-ბოსტნეულისა და მეცხოველეობის ბაზები ახალ სამრეწველო რაიონებში.

ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს კარტოფილის წარმოება სპირტისა და სახამებელ-ბადაგის ქარხნების ზონებში, დაახლოებით, 50 პროცენტით და ბოსტნეულისა, საკონსერვო და ბოსტნეულსახმობი ქარხნების ზონებში—ერთიორად.

ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს ბოლებისა და საკენკრეების ფართობი კოლმეურნეობებში, დაახლოებით, 70 პროცენტით, ვენახებისა—50 პროცენტით, ჩაის პლანტაციებისა — 60 პროცენტით და ციტრუსოვანი კულტურებისა—4,5-ჯერ.

4. ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქცია: ხორცისა და ქონისა 80-90 პროცენტით, რძისა 45-50 პროცენტით, მატყლისა, დაახლოებით, 2-2,5-ჯერ, მათ შორის ნაზი მატყლისა 4-4,5-ჯერ, კვერცხისა (კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში) 6-7-ჯერ.

გადიდდეს სულადობა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა მთელ სოფლის მეურნეობაში—18-20 პროცენტით, მათ შორის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 36-38 პროცენტით და ძროხისა, დაახლოებით, 2-ჯერ; ცხვრისა, მთელ სოფლის მეურნეობაში—60-62 პროცენტით, მათ შორის კოლმეურნეობებში — 75-80 პროცენტით; ღორისა, მთელ სოფლის მეურნეობაში—45-50 პროცენტით, მათ შორის კოლმეურნეობებში — 85-90 პროცენტით; ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებში—3-3,5-ჯერ, ცხენისა, მთელ სოფლის მეურნეობაში — 10-12 პროცენტით, მათ შორის კოლმეურნეობებში—14-16 პროცენტით.

უზრუნველყოფილ იქნას ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის სს რესპუბლიკებში შემდგომი განვითარება მაღალპროდუქტიული მეცხოველეობისა, განსაკუთრებით მეწველი პირუტყვისა, აგრეთვე ღორისა.

აყვანილ იქნას ერთი ძროხის წველადობა არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონების კოლმეურნეობებში 1.800-2.000 კილოგრამამდე, ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების კოლმეურნეობებში 1.700-2.000 კილოგრამამდე, სამხრეთისა და ვოლგისპირეთის რაიონებში 1.600-1.900 კილოგრამამდე, ციმბირის, ურალისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის რაიონებში 1.500-1.700 კილოგრამამდე, შუა აზიის რაიონებში 700-900 კილოგრამამდე, ამიერკავკასიისა—900-1.100 კილოგრამამდე.

გადიდდეს სამხრეთისა. და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონების კოლმეურნეობებში ერთი ნაზმატყლიანი ცხვრის ნაპარსი 5,2-5,8 კილოგრამამდე, ერთი ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრისა 4,2-4,8 კილოგრამამდე, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებში ერთი ნაზმატყლიანი ცხვრისა 4,2-5,0 კილოგრამამდე და ერთი ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრისა 4,0-4,2 კილოგრამამდე, ვოლგისპირეთის რაიონებში ერთი ნაზმატყლიანი ცხვრისა 4,6-5,4 კილოგრამამდე და ერთი ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრისა 3,9-4,5 კილოგრამამდე, ციმბირის რაიონებში ერთი ნაზმატყლიანი ცხვრისა 4,3-4,9 კილოგრამამდე და ერთი ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრისა 3,8-4,2 კილოგრამამდე.

5. უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეული კულტურების ახალი უფრო მოსავლიანი ჯიშების, უფრო პროდუქტიული და საადრეო ჯიშების ბამბის, უფრო დიდი შაქრიანობის მქონე შაქრის ჭარხლის ჯიშების, უხვზეთიანი მზესუმზირას ჯიშების წარმოებაში დანერგვა, აგრეთვე სარწყავ მიწებზე მოსაყვანი ახალი ჯიშების სასოფლო-სამეურნეო კულტურების შექმნა. გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო - სამეურნეო კულტურების მეთესლეობა.

6. უზრუნველყოფილ იქნას ველიან და ტყე-ველიან რაიონებში მინდორსაცავი ტყის გაშენების სამუშაოთა შემდგომი გაფართოება, აგროსატყეო მელიორაციულ ღონისძიებათა გამხორციელება ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე ქვიშნართა გასატყიანებლად, სამეურნეო მნიშვნელობის ტყეების გაშენება, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო, მდინარეების, არხებისა და წყალსაცავების ნაპირებზე მწვანე ზონების შექმნა.

ხუთწლედის მანძილზე გაშენდეს სულ ცოტა 2,5 მილიონი ჰექტარი საცავი ტყის ნარგავი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და დაითესოს და დაირგოს 2,5 მილიონი ჰექტარი სახელმწიფო ტყე.

7. უზრუნველყოფილ იქნას ყველა სარწყავი და ამოშრობილი მიწის მაღალხარისხიანი გამოყენება. ყველგან განხორციელდეს რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლა, რომელიც ითვალისწინებს დროებითს სარწყავ არხებს მუდმივი არხების ნაცვლად. პირველი რიგის სამუშაოებად ჩაითვალოს — სარწყავი და წყალით უზრუნველმყოფი სისტემების მშენებლობა კუბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ელექტროენერგიის გამოყენების ბაზაზე და ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ზონაში; დაიწყოს სარწყავი და წყალით უზრუნველმყოფი სისტემების მშენებლობა სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების ზონაში.

ჩატარდეს კულუნდის ველის მიწების მორწყვისა და წყალით უზრუნველმყოფი სარწყავი სისტემების მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, გაგრძელდეს სარწყავი სისტემების მშენებლობის სამუშაოები ცენტრალურ-შავნიადაგიან ოლქებში, მტკვარ-არაქსის დაბლობში, მდინარეების სირდარიის, ზერავშანისა და კაშკადარიის აუზებში, ცენტრალური ფერგანის, ყუბან-ეგორლიკის სისტემის, ორტო-ტოკოის წყალსაცავისა და დიდი ჩუის არხის რაიონებში. ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს სარწყავი მიწების ფართობი 30-35 პროცენტით, აშენდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 30-35 ათასი გუბურა და წყალსატევი და უზრუნველყოფილ იქნას მათი ყოველმხრივი სამეურნეო გამოყენება.

ჩატარდეს ჭაობების ამოშრობის სამუშაოები ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, უკრაინის სს რესპუბლიკაში (პირველ რიგში პოლესიეს დაბლობის რაიონებში), ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის სს რესპუბლიკებში, რუსეთის სფსრ ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში, ბარაბინსკის დაბლობსა და სხვა რაიონებში. 1951-1955 წლების მანძილზე ამოშრობილი მიწების ფართობი გადიდდეს 40-45 პროცენტით.

8. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რძის პროდუქტიულობის გასადიდებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ იქნას მიჩნეული მეცხოველეობის მეურნეობის გაძღოლის უფრო ინტენსიური სისტემის—პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვის სისტემის დანერგვა. ამასთან გათვალისწინებულ იქნას რაიონების თავისებურებანი.

მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის შეიქმნას ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის წყალით უზრუნველყოფის რაიონებში, კასპიისპირა დაბლობში, ნოღაის ველზე და თურქმენეთის არხის რაიონებში კეთილმოწყობილი საძოვრები, ამასთან მოეწყოს საძოვრების წყალით უზრუნველყოფა წყალის უზრუნველმყოფ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის მიხედვით, რათა ამ რაიონებში შეიქმნას ცხვრის დიდი და უდიდესი ფარების კარგად მოწყობილი საძოვრები.

შუა აზიისა და აზერბაიჯანის რაიონებში უზრუნველყოფილ იქნას უხვმოსავლიანი სათბებისა და საძოვრების ნაკვეთების შექმნა ადგილობრივი რწყვისა და ორტეზიული წყალთა გამოყენების გზით, რათა თანდათან შემცირდეს პირუტყვის შორეული გადარეკა.

9. დამთავრდეს კოლმეურნეობებში მინდვრის ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გაჩაღდეს მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის შრომატევად სამუშაოთა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაზიდვის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის, რწყვის, დაჭაობიანებული სავარგულების ამოშრობისა და ახალი მიწების ათვისების სამუშაოთა მექანიზაცია.

1955 წელს მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას: ხვნისა, მარცვლეული, ტექნიკური და საკვები კულტურების თესვისა 90-95 პროცენტამდე, მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირას მოსავლის კომბაინით აღებისა 80-90 პროცენტამდე, შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებისა 90-95 პროცენტამდე, ბამბის მოსავლის ასაღები მანქანებით ნედლი ბამბის მოსავლის აღებისა 60-70 პროცენტამდე, საბოჭკოე სელის თესვისა და მოსავლის აღებისა 80-90 პროცენტამდე, კარტოფილის მწკრივთა შორის დამუშავებით რგვისა და მოსავლის აღებისა 55-60 პროცენტამდე, თიბვისა და დასილოსებისა 70-80 პროცენტამდე.

უზრუნველყოფილ იქნას მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესება, გაფართოვდეს მათი საქმიანობა საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის და გაძლიერდეს მტს-ების პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შესრულებისათვის.

ხუთწლედის დამლევისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო პარკის სიმძლავრე გადიდდეს, დაახლოებით, 50 პროცენტით, განსაკუთრებით საკიდიანარაღიანი სათოხნი ტრაქტორებისა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწკრივთა შორის დამუშავებისათვის. ხუთწლედის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას ტრაქტორების ღღიური გამომუშავების გადიდება, დაახლოებით, 50 პროცენტით. დამთავრდეს უფრო ეკონომიური დიზელიანი ტრაქტორების დანერგვა.

გადიდდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელი ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის სს რესპუბლიკებში და განხორციელდეს მათი აღჭურვა ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ელექტროტრაქტორებისა და ელექტროენერგიის გამოყენების ბაზაზე მომუშავე სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანერგვა, განსაკუთრებით დიდი ჰიდროელექტროსადგურების რაიონებში.

10. უზრუნველყოფილ იქნას, რომ კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდებანი წარიმართოს პირველ რიგში საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის—სამეურნეო ნაგებობათა, მეცხოველეობის შენობების, სარწყავი და ამოსაშრობი არხების, წყალსატევების მშენებლობისათვის, ჯაგნარებისაგან მიწების გაწმენდისათვის, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებისათვის, საკოლმეურნეო ელექტროსადგურებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობისათვის, რომლებიც საჭიროა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის წარმატებით განვითარებისა და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებისათვის.

11. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს პირველ რიგში ხორბლის, ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის, ხორცის საქონლიანობის გადიდება, აგრეთვე საკოლმეურნეო მეცხოველეობის უზრუნველყოფა ჯიშიანი მწარმოებლებით.

იმ მიზნით, რომ შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის სულადობა მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას უხეში და წვნიანი საკვებით, გაფართოვდეს საბჭოთა მეურნეობებში საკვები კულტურების ნათესი 45-55 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყოფილ იქნას ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება. გადიდდეს საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 35-40 პროცენტით, მათ შორის ძროხისა 70-75 პროცენტით, ცხვრისა 75-80 პროცენტით და ღორისა 40-45 პროცენტით.

1955 წელს ერთი ძროხის წველა აყვანილ იქნას საბჭოთა მეურნეობებში შემდეგ ოდენობამდე: არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში—3.500-3.900 კილოგრამამდე, ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქების რაიონებში—3.000-3.400 კილოგრამამდე, სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში—2.800-3.200 კილოგრამამდე, ციმბირისა და აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ოლქების რაიონებში — 2.400-2.900 კილოგრამამდე, ვოლგისპირეთის, შუა აზიის, ამიერკავკასიის და აზერბაიჯანის სამხრეთი ოლქების საჯიშე საბჭოთა მეურნეობებში—2.100-2.600 კილოგრამამდე.

აყვანილ იქნას ერთი ნაზმატყლიანი ცხვრის საშუალო ნაპარსი სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ვოლგისპირეთის რაიონების საბჭოთა მეურნეობებში 5,5-6,5 კილოგრამამდე. ციმბირის, აზერბაიჯანის, შუაზიისა და ამიერკავკასიის რაიონების საბჭოთა მეურნეობებში 4,3-5,0 კილოგრამამდე.

საბჭოთა მეურნეობებში ძირითადად დამთავრდეს მემინდვრეობის, მეცხოველეობის, საკვების მოპოვებისა და საკვების მომზადების ყველაზე შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. საბჭოთა მეურნეობებში ფართო მასშტაბით მოეწყოს საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნაგებობათა მშენებლობა.

12. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასახული ზრდის უზრუნველსაყოფად დაწესდეს ხუთწლედისათვის სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, დაახლოებით, 2,1-ჯერ მეტი, ამასთან ირიგაციისა და მელიორაციისათვის, დაახლოებით, 4-ჯერ მეტი, ვიდრე მეოთხე ხუთწლედში.

III. საქონელბრუნვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

1. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საფუძველზე ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა დაახლოებით 70 პროცენტით.

გადიდდეს 1955 წელს, 1950 წელთან შედარებით, მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი საქონლის მიყიდვა დაახლოებით შემდეგი ოდენობით: ხორცის პროდუქტებისა—90 პროცენტით, თევზის პროდუქტებისა — 70 პროცენტით, ერბო-კარაქისა—70 პროცენტით, ყველისა—ერთიორად, მცენარეული ზეთისა—ერთიორად, ბოსტნეულის, ხილის და რძის კონსერვებისა—2,5-3,0-ჯერ, შაქრისა — ერთიორად, ჩაისა — ერთიორად, ყურძნის ღვინისა—ერთიორად, ლუდისა — 80 პროცენტით, ტანისამოსისა—80 პროცენტით, ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილებისა — 70 პროცენტით, ფეხსაცმლისა—80 პროცენტით, ქალის და მამაკაცის წინდებისა —ერთიორად, სატრიკოტაჟო ნაკეთობისა—2,2-ჯერ, ავეჯისა—ერთისამად, ლითონის ჭურჭლისა—2,5-ჯერ, ველოსიპედებისა — 3,5-ჯერ, საკერავი მანქანებისა—2,4-ჯერ, რადიომიმღებებისა და ტელევიზორებისა—ერთიორად, საათებისა—2,2-ჯერ, საოჯახო მაცივრების, სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების—რამდენჯერმე.

ხუთწლედის მანძილზე გაფართოვდეს სასადილოების, რესტორანების, საჩაიეების ქსელი და გადიდდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ პროდუქციის გამოშვება დაახლოებით 80 პროცენტით, ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ასორტიმენტი.

გადიდდეს სპეციალიზებული მაღაზიების რაოდენობა კვების საქონლის, ტანისამოსის, ფეხსაცმლის, ქსოვილების, ავეჯის, ჭურჭლის, საოჯახო საქონლის, კულტურული საჭიროების საგნებისა და

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(ყრილობის დღის წესრიგის მე-3 პუნქტი)

მნიშვნელოვნად გაიზარდეს მატერიალური ფასეულობანი და საყოველთაო მშენებლობა მრეწველობასა და სავაჭრო ქსელში. სასურსათო მაღაზიები, სასადილოები, რესტორანები და საყოველთაო შემდგომ აღიჭურვოს მაცივარი დანადგარებითა და უახლესი მოწყობილობით.

2. გათვალისწინებულ იქნას რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ზრდა 1955 წლისათვის, 1950 წელთან შედარებით, 35-40 პროცენტით, სამდინარო ტრანსპორტისა 75-80 პროცენტით, საზღვაო ტრანსპორტისა 55-60 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტისა 80-85 პროცენტით, საჰაერო ტრანსპორტისა სულ ცოტა ერთიორად, მილსადენი ტრანსპორტისა დაახლოებით 5-ჯერ.

3. რკინიგზის ტრანსპორტის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდება. ამის შესაბამისად;

ა) გადიდდეს გასულ ხუთწლედთან შედარებით მეორე ლიანდაგების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაახლოებით 60 პროცენტით და ელექტროფიცირებული რკინიგზებისა ერთიოთხად. გადიდდეს სასადგურო ლიანდაგების სიგრძე დაახლოებით რკინიგზების საექსპლოატაციო სიგრძის 46 პროცენტამდე;

ბ) აშენდეს და მუდმივ საექსპლოატაციოდ გადაეცეს ახალი რკინიგზები დაახლოებით 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1946-1950 წლებში. დამთავრდეს სამხრეთ ციმბირის მაგისტრალის მშენებლობა უბნებზე აბაკანიდან აკმოლინსკამდე. დამთავრდეს მშენებლობა ჩარჯოუ-კუნგრადის რკინიგზის ხაზისა და დაწყებულ იქნას კუნგრად-მაკატის გზის მშენებლობა.

გაჩაღდეს კრასნოიარსკ-ენისეისკის, გურიევ-ასტრახანის, აგრიზ-პრონინოსურგუტის რკინიგზების მშენებლობა. შესრულდეს რკინიგზების რეკონსტრუქციის საჭირო სამუშაოები ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში;

ბ) ხუთწლედის დამლევისათვის გადიდდეს 1950 წელთან შედარებით ავტომლოკირებით მოწყობილი უბნების სიგრძე დაახლოებით 80 პროცენტით და ავტოსტოპებით სულ ცოტა 2,5-ჯერ, აგრეთვე გადიდდეს ელექტროცენტრალიზაციით მოწყობილი ისრების რაოდენობა დაახლოებით 2,3-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდეს სადისპეტჩერო ცენტრალიზაციის გამოყენება. უზრუნველყოფილ იქნას დამხარისხებელი გორაკების შემდგომი მექანიზაცია. განგრძობილ იქნას მუშაობა რადიოკავშირგამბმულობის დანერგვის დარგში მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის მართვისათვის;

დ) გაუმჯობესდეს რკინიგზების სალოკომოტივო მეურნეობის მდგომარეობა. რკინიგზის ტრანსპორტს ხუთწლედის განმავლობაში მიეცეს ახალი რელსები დაახლოებით 85 პროცენტით მეტი, ვიდრე 1946-1950 წლებში;

ე) მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას რკინიგზის ტრანსპორტის მოთხოვნილება მაგისტრალური ორთქლმავლების, ელექტრომავლების, თბომავლების, სატვირთო, იზოთერმული და სამგზავრო ვაგონების მხრივ. დამთავრდეს ძირითადად ვაგონების სამუშაო პარკის ავტოგადაბმაზე გადაყვანა და დაიწყოს მოძრავი შემადგენლობის მოწყობა გორგოლაჭიანი საკისარებით. დაიწყოს ახალი მძლავრი ორთქლმავლების, ელექტრომავლებისა და თბომავლების, მათ შორის გაზგენერატორიანი თბომავლების წარმოება.

გაუმჯობესდეს მოძრავი შემადგენლობის გამოყენება. შემცირდეს 1955 წელს ვაგონების ბრუნვის დრო სულ ცოტა 18 პროცენტით 1950 წელთან შედარებით და გადიდდეს ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენა სულ ცოტა 12 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ვაგონების ტვირთამწეობის გამოყენება და გადიდდეს სატვირთო მატარებლების წონა.

უზრუნველყოფილ იქნას ღონისძიებათა განხორციელება მატარებელთა მოძრაობასთან დაკავშირებული მუშაკების, განსაკუთრებით ლოკომოტივის ბრიგადების შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

4. გადიდდეს სამდინარო ნავსადგურების გამტარუნარიანობა დაახლოებით ერთიორად. დამთავრდეს ნავსადგურების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პირველი რიგის სამუშაოები სტალინგრადში, სარატოვში, კუიბიშევში, ულიანოვსკში, იაროსლავლში, მოლოტოვში, ომსკში, ნოვოსიბირსკში, ხაბაროვსკში, ოსეტროგოში, კოტლასსა და პეჩორაში. აღჭურვოს ძირითადი ნავსადგურები მექანიზაციის მაღალი წარმადობის საშუალებებით. გაფართოვდეს მდინარისპირა სამრეწველო საწარმოთა მექანიზებული ნავმისადგომების მშენებლობა.

დამთავრდეს ვოლგა-ბალტიის ზღვის სანაოსნო გზის გადაკეთების სამუშაოები, გადიდდეს სანაოსნო სიღრმე მდინარე კამაზე და შეიქმნას ერთიანი ღრმაწყალიანი სატრანსპორტო სისტემა სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში.

გაუმჯობესდეს ნაოსნობა და გადიდდეს მდინარეების ნემანისა და დაუგავას აუზებში მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვა. გათვალისწინებულ იქნას ხიდების მშენებლობა მდინარე ნემანზე კაუნასში და მდინარე დაუგავაზე რიგაში.

რეკონსტრუირებულ იქნას არსებული და აგებულ იქნას ახალი გემთსაშენი და გემთსარემონტო საწარმოები სამდინარო ფლოტისათვის. უზრუნველყოფილ იქნას სამგზავრო და სატვირთო სამდინარო ფლოტის მშენებლობა, რომელიც შეეფერება დიდ წყალსაცავებში ნაოსნობის პირობებს. გადიდდეს სამდინარო ტრანსპორტის როლი ტვირთების გადაზიდვაში ციმბირისა და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში.

უზრუნველყოფილ იქნას პატარა მდინარეებით ტვირთზიდვა ადგილობრივი საჭიროებისათვის.

5. მნიშვნელოვანი ოდენობით გადიდდეს საზღვაო სავაჭრო ფლოტის ტონაჟი, გაფართოვდეს ჩვენი ქვეყნის საზღვაო გემთმშენებლობის ბაზა ახალი გემთსაშენი და გემთსარემონტო ქარხნების მშენებლობისა და არსებულის გაფართოების გზით. შესრულებულ იქნას ლენინგრადის, ოდესის, ყდანოვის, ნოვოროსიისკის, მახაჩკალის, მურმანსკის, ნარიან-მარისა და შორეული აღმოსავლეთის საზღვაო ნავსადგურების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. უზრუნველყოფილ იქნას საზღვაო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში, გაფართოვდეს რიგისა და კლაიპედის ნავსადგურები.

უზრუნველყოფილ იქნას საზღვაო ნავსადგურების გამტარუნარიანობის გადიდება და გაფართოვდეს საზღვაო გემთსარემონტო ქარხნების სიმძლავრე დაახლოებით ერთიორად. გაფართოვდეს სათევზე ნავსადგურების გამტარუნარიანობა.

გადიდდეს ტვირთზიდვა ჩრდილოეთის საზღვაო გზით. საზღვაო ფლოტი შეივსოს ახალი ყინულმჭრელებით.

გაუმჯობესდეს სამდინარო, საზღვაო და თევზსარეწი ფლოტის მუშაობის ხარისხი, შემცირდეს მომხმარებლებისათვის ტვირთების მიწოდების ვადები, გაუმჯობესდეს ნავსადგურების მუშაობა, შემცირდეს გემების მოცდენა.

6. აგებულ და რეკონსტრუირებულ იქნას მაგარსაფარიანი საავტომობილო გზები დაახლოებით 50 პროცენტით მეტი, ვიდრე 1946-1950 წლებში, განსაკუთრებით სამხრეთ რაიონებში, ამიერკავკასიასა და ბალტიისპირეთში.

გადიდდეს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ხვედრითი წონა ტვირთების გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაში. დამთავრდეს საუწყებო მნიშვნელობის საავტომობილო მეურნეობათა გამსხვილება. გაუმჯობესდეს ავტომობილების გამოყენება და მნიშვნელოვნად შემცირდეს ტვირთზიდვის თვითღირებულება. გაფართოვდეს ავტოსარემონტო საწარმოთა და ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების ქსელი. ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს მუდმივმოქმედი საქალაქთაშორისო საავტობუსო ხაზების სიგრძე დაახლოებით ერთიორად.

7. მნიშვნელოვნად გადიდდეს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სატრანსპორტო თვითმფრინავების პარკი, აგრეთვე მთელი დღე-ღამის მუშაობისათვის მოწყობილი საჰაერო ხაზებისა და აეროპორტების ქსელი.

8. უზრუნველყოფილ იქნას კავშირგამბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარება; ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო კაბელის სიგრძე სულ ცოტა ერთიორად. მნიშვნელოვნად გადიდდეს რადიომაუწყებელი სადგურების სიმძლავრე. გაჩაღდეს მუშაობა ულტრა-მოკლეტალღიანი რადიომაუწყებლობისა და რადიორელეური კავშირგამბმულობის დანერგვის დარგში. ხუთწლედის მანძილზე საქალაქო სატელეფონო სადგურების სიმძლავრე გაფართოვდეს 30-35 პროცენტით.

გაუმჯობესდეს საფოსტო კავშირგამბმულობის მუშაობა მოსახლეობისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებისა და საფოსტო გზავნილების მისაწოდებლად და უზრუნველყოფილ იქნას ფოსტის გადატანა სარაიონთაშორისო ტრაქტებით, ძირითადად, ავტოტრანსპორტით.

9. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარების გეგმის შესაბამისად გადიდდეს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 1951-1955 წლებში დაახლოებით 63 პროცენტით 1946-1950 წლებთან შედარებით.

IV. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების დარგში

1. სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე გადიდდეს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი ხუთწლედში სულ ცოტა 60 პროცენტით და ამასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილ იქნას მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავლისა და გლეხთა შემოსავლის შემდგომი ზრდა. წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად, აგრეთვე კულტურული მშენებლობის დარგში დავალებათა შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას მუშებისა და მოსამსახურეების სახალხო მეურნეობაში 1955 წელს — ხუთწლედის უკანასკნელ წელს — 1950 წელთან შედარებით დაახლოებით 15 პროცენტით.

2. კვლავაც განუხრელად განხორციელდეს მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების შემცირება, მიღებულ იქნას რა მხედველობაში, რომ ფასების შემცირება წარმოადგენს მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის სისტემატური გადიდებისა და გლეხთა შემოსავლის გადიდების უმთავრეს საშუალებას. გადიდდეს მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი, საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით, სულ ცოტა 35 პროცენტით.

სახელმწიფო ასიგნებათა ზრდა მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევისათვის ხუთწლედის მანძილზე განსაზღვრულ იქნას დაახლოებით 30 პროცენტით 1950 წელთან შედარებით.

კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების გადიდების, საკოლმეურნეო წარმოების ზრდის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდების საფუძველზე გადიდდეს კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი (ფულადი გამოხატულებით) სულ ცოტა 40 პროცენტით.

3. მუშებისა და მოსამსახურეების საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ყოველი ღონისძიებით გაფართოვდეს საბინაო მშენებლობა. ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფო საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამა და კაპიტალური დაბანდებანი ამ მიზნებისათვის გადიდდეს დაახლოებით ერთიორად წინა ხუთწლედთან შედარებით. ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცეს სახელმწიფო მშენებლობის ხაზით 105 მილიონამდე კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი საცხოვრებელი სახლები. ნელი შეეწყოს ქალაქებსა და მუშათა დაბებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რასაც მოსახლეობა საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ახორციელებს.

გაუმჯობესდეს ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება. გაფართოვდეს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, სახლების თბოფიკაცია და გაზიფიკაცია, ქალაქის ტრანსპორტი, გაუმჯობესდეს ქალაქების კეთილმოწყობა. ხუთწლედის დამლევისათვის კომუნალურ მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გადიდდეს, დაახლოებით, 50 პროცენტით 1950 წელთან შედარებით.

4. უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება.

ხუთწლედის მანძილზე გაფართოვდეს საავადმყოფოების, დისპანსერების, სამშობიარო სახლების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაღების ქსელი, გადიდდეს საწოლების რიცხვი საავადმყოფოებში სულ ცოტა 20 პროცენტით, ადგილების რიცხვი სანატორიუმებში, დაახლოებით, 15 პროცენტით, დასასვენებელ სახლებში — 30 პროცენტით, საბავშვო ბაღებში — 20 პროცენტით და საბავშვო ბაღებში—40 პროცენტით.

ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს საავადმყოფო საწოლთა რიცხვი ლიტვის სს რესპუბლიკაში, დაახლოებით, 40 პროცენტით, ლატვიის სს რესპუბლიკაში—30 პროცენტით და ესტონეთის სს რესპუბლიკაში—30 პროცენტით.

უზრუნველყოფილ იქნას საავადმყოფოების, დისპანსერების, სანატორიუმების შემდგომი აღჭურვა უახლესი სამედიცინო მოწყობილობით და მათი მუშაობის კულტურის ამაღლება.

ხუთწლედის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ექიმების რიცხვი გადიდდეს სულ ცოტა 25 პროცენტით და გაფართოვდეს ღონისძიებანი ექიმთა დახელოვნებისათვის.

მედიცინის მეცნიერ მუშაკთა ღონისძიებანი წარიმართოს ჯანმრთელობის დაცვის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროფილაქტიკის საკითხებს, უზრუნველყოფილ იქნას მედიცინის მეცნიერებათა მიღწევების პრაქტიკაში რაც შეიძლება სწრაფად დანერგვა.

1955 წელს გადიდდეს სულ ცოტა 2,5-ჯერ 1950 წელთან შედარებით მედიკამენტების, სამედიცინო მოწყობილობისა და ინსტრუმენტების წარმოება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უახლესი მედიკამენტებისა და სხვა ეფექტიანი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების, აგრეთვე თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო სამედიცინო მოწყობილობის წარმოების გაფართოებას.

უზრუნველყოფილ იქნას ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება.

5. ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მომზადდეს პირობები, რათა შემდგომ ხუთწლედში მთლიანად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება (ათწლედი) დანარჩენ ქალაქებსა და სოფელ-ადგილებში.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სკოლების მზარდი ქსელი მასწავლებელთა საჭირო რაოდენობით, 1951-1955 წლებში პედაგოგიურ ინსტიტუტებში მიღება გადიდდეს 45 პროცენტით 1946-1950 წლების მიღებასთან შედარებით; გათვალისწინებულ იქნას მიღების გადიდება ლიტვის სსრ პედაგოგიურ ინსტიტუტებში 2,3-ჯერ, ლატვიის სს რესპუბლიკისა — 90 პროცენტით და ესტონეთის სს რესპუბლიკისა—60 პროცენტით.

გადიდდეს საქალაქო და სასოფლო სკოლების მშენებლობა, დაახლოებით, 70 პროცენტით წინა ხუთწლედთან შედარებით.

იმ მიზნით, რომ შემდგომ ამაღლდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სოციალისტური აღმზრდელობითი მნიშვნელობა და იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, უზრუნველყოფილ იქნას პროფესიების თავისუფალი არჩევის პირობები, დაიწყოს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლაში და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რაც საჭიროა საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად.

6. სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესაბამისად ხუთწლედის მანძილზე გაიზარდოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან ყველა გვარეობის სპეციალისტთა გამოშვება, დაახლოებით, 30-35 პროცენტით.

მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისათვის უმაღლესი სასწავლებლებიდან სპეციალისტთა გამოშვება გადიდდეს 1955 წელს 1950 წელთან შედარებით, დაახლოებით, ერთიორად.

ხუთწლედის მანძილზე გაფართოვდეს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ასპირანტურის მეშვეობით, დაახლოებით, ერთიორად წინა ხუთწლედთან შედარებით.

გაუმჯობესდეს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული მუშაობა, უფრო სრულად იქნას გამოყენებული მეცნიერული ძალები სახალხო მეურნეობის განვითარების, მოწინავე გამოცდილების განზოგადების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მეცნიერული აღმოჩენების ფართო პრაქტიკული გამოყენება. ყოველი ღონისძიებით გაეწიოს დახმარება მეცნიერებს ცოდნის ყველა დარგის თეორიული პრობლემების დამუშავებაში და განმტკიცდეს მეცნიერების კავშირი წარმოებასთან.

გათვალისწინებულ იქნას მოზარდი მოსახლეობის მზარდი მისწრაფება თავისი განათლების ამაღლებისაკენ, უზრუნველყოფილ იქნას დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შემდგომი განვითარება, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა მშრომელი მოქალაქეების სწავლისათვის წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

7. სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კვალიფიციური კადრების მხრივ, განსაკუთრებით წარმოებაში მოწინავე ტექნიკის შემდგომ დანერგვასთან დაკავშირებით, გაუმჯობესდეს ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების მომზადების ხარისხი სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში, უზრუნველყოფილ იქნას მუშების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების გზით და საწარმოებში მოწყობილი კურსებისა და სკოლების სისტემის საშუალებით.

8. განხორციელდეს კინოს და ტელევიზიის შემდგომი განვითარება. გაფართოვდეს კინოთეატრების ქსელი, გადიდდეს კინოდანადგარების რაოდენობა ხუთწლედის მანძილზე დაახლოებით 25 პროცენტით, აგრეთვე გადიდდეს კინოფილმების გამოშვება.

გაფართოვდეს 1955 წელს 1950 წელთან შედარებით მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელი სულ ცოტა 30 პროცენტით და კლუბებისა 15 პროცენტით, გაუმჯობესდეს მათი მუშაობა მოსახლეობის მომსახურების დარგში.

მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდის უზრუნველსაყოფად გაფართოვდეს პოლიგრაფიული მრეწველობა და გაუმჯობესდეს წიგნების ბეჭდვისა და გაფორმების ხარისხი.

9. ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დასახული განვითარების შესაბამისად გადიდდეს ამ მიზნებისათვის კაპიტალურდაბანდებათა ოდენობა ხუთწლედის მანძილზე, დაახლოებით, 50 პროცენტით წინა ხუთწლედთან შედარებით.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების შესასრულებლად საჭიროა:

ა) მობილიზებულ იქნას შინასამეურნეო წყაროები სოციალისტური დაგროვების შემდგომი ზრდისათვის, მიღწეულ იქნას სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვა და თვითეული საწარმოს მიერ საწარმოო გეგმის შესრულება მისთვის დაწესებული ასორტიმენტით. სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დარგში ხუთწლედის დავალებათა უზრუნველსაყოფად საჭიროა გადიდებულ იქნას სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობა 1951-1955 წლებში დაახლოებით 90 პროცენტით, ხოლო სახელმწიფო ასიგნობანი ამ მშენებლობისათვის დაახლოებით, მხოლოდ 60 პროცენტით მეოთხე ხუთწლედთან შედარებით, იმ გარაუდით, რომ დანარჩენი 30 პროცენტი დაიფაროს მშენებლობის თვითღირებულების შესაბამისი შემცირებით შრომის ნაყოფიერების გადიდების, ზედნადები ხარჯების შემცირების, საშენი მასალებისა და მოწყობილობის ფასების შემცირების გზით;

ბ) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოწინავე ტექნიკის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საფუძველზე გადიდდეს შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის მანძილზე მრეწველობაში დაახლოებით 50 პროცენტით, მშენებლობაში—55 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში—40 პროცენტით. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე ძირითადად დამთავრდეს ძძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მრეწველობასა და მშენებლობაში;

გ) ხუთწლედის მანძილზე შემცირდეს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება დაახლოებით 25 პროცენტით და საშენებლო სამუშაოთა ღირებულება სულ ცოტა 20 პროცენტით. შემცირდეს მშენებლობის ვადები და უზრუნველყოფილ იქნას საშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება. შემცირდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება დაახლოებით 25 პროცენტით, რკინიგზებზე ტვირთზიდვისა—15 პროცენტით, საცალო ვაჭრობის ბრუნვის ხარჯები — 23 პროცენტით. მკვეთრად შემცირდეს მრეწველობაში გამსაღებელი ორგანიზაციების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებასა და გასაღებაში ზედნადები ხარჯები;

დ) გაძლიერდეს ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან გამოსული გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მასობრივი მოძრაობა წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფისა და გაფართოებისათვის, ყოველმხრივი მექანიზაციისა, შრომის პირობების გაადვილებისა და შემდგომი გაჯანსაღებისათვის. დაგმობილ იქნას პრაქტიკა სამეურნეო ორგანიზაციებისა, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ ახალი ტექნიკისა და შრომის მექანიზაციის დანერგვის ამოცანებს და ურიგდებიან მუშახელის არასწორ გამოყენებას;

ე) განუხრელად ხორციელდებოდეს სამეურნეო მშენებლობის ყველა დიდ და მცირე უბანზე მომჭირნეობის რეჟიმი, დიდდებოდეს საწარმოთა რენტაბელობა. სამეურნეო მუშაკებმა უნდა ეძიონ, გამონახონ და გამოიყენონ რეზერვები, წარმოების წიაღში რომ იმალება, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული საწარმო სიმძლავრენი, სისტემატურად აუმჯობესონ წარმოების მეთოდები, შეამცირონ წარმოების თვითღირებულება, განახორციელონ სამეურნეო ანგარიშიანობა.

უზრუნველყოფილ იქნას მატერიალური რესურსების შემდგომი მნიშვნელოვანი მომჭირნეობა მასალებისა და მოწყობილობის ზედმეტი ხარჯების ლიკვიდაციის, წუნთან ბრძოლის გაძლიერების, ეკონომიური სახის მასალების დანერგვის, სრულფასოვანი შემცვლელების ფართოდ გამოყენებისა და წარმოების პრორგრესული ტექნოლოგიის გზით.

საფინანსო ორგანოების მხრივ გაძლიერებულ იქნას მანეთით კონტროლი სამეურნეო გეგმების შესრულებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისადმი;

ვ) ერთიორად გადიდდეს სახელმწიფო მატერიალური და სასურსათო რეზერვები, რომელთაც ძალუძთ უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.

* * *

ეს (მეხუთე) ხუთწლიანი გეგმა კვლავ ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის ძირეულ უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ეს ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმას. იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას და ყველა იმ ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, რომელთაც სურთ ვაჭრობის განვითარება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის საწყისებზე.

საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიანი განვითარება, რასაც ხუთწლიანი გეგმა სახავს, უპირდაპირდება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც მიღიან სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის, კაპიტალისტებისათვის უდიდესი მოგების მიღებისა და მშრომელთა შემდგომი გაღატაკების გზით.

ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს და ავალებენ მათ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გააჩაღონ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ფართო კრიტიკა, ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციის მიზნით.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით დახმარება გაეწიოს სამრეწველო და საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორებს, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავეებს მათს მისწრაფებაში — გაადიდონ წარმოება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ თვითღირებულება.

სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი მისწრაფება — დაიცვან მშვიდობის საქმე, მშრომელთა ურყევი გადაწყვეტილება —ააშენონ კომუნისტური საზოგადოება — წარმართულ უნდა იქნას ახალი ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ ახალ ხუთწლიან გეგმას.

* * *

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 18 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 აგვისტოს გამოაქვეყნა ცნობა, რომ გაფლილ დღეს სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ოთხი თვითმფრინავი.

ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს პანმინჯონის ნეიტრალური ზონა

პეკინი, 18 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა კესონიდან გადმოგვცა:

16 აგვისტოს 19 საათსა და 45 წუთსა და 19 საათსა და 55 წუთს შუა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა არაერთხელ გადაუფრინეს კონფერენციის რაიონს პანმინჯონში. ამერიკელთა მიერ ნეიტრალური ზონის შესახებ შეთანხმების ეს ახალი დარღვევა დადასტურებულ იქნა ერთობლივი გამოკვლევის შედეგად, რომელიც მოახდინეს ორივე მხარის უშიშროების სამსახურის ოფიცრებმა.

17 აგვისტოს კორეისა და ჩინეთის მხარის უფროსმა მეკავშირე ოფიცერმა პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა პროტესტი განუცხადა ამერიკის უფროს მეკავშირე ოფიცერს ამ დარღვევის წინააღმდეგ.

ეს მეხუთე შემთხვევაა, რაც ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა დაარღვიეს შეთანხმება ნეიტრალური ზონის შესახებ მას შემდეგ, რაც ამერიკის მთავარი დელეგატი ჰარისონი დაადგა ხანგრძლივ შეწყვეტილ ტაქტიკას, რათა ჩაშალოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ.

ოთხი სხვა დარღვევა ამერიკის თვითმფრინავებმა მოახდინეს 4, 10, 11 და 12 აგვისტოს. მიუხედავად უდავო დამამტკიცებელი სახუთებისა, ამერიკელებმა უხალისოდ იკისრეს პასუხისმგებლობა 10 და 11 აგვისტოს მომხდარი დარღვევისათვის, მაგრამ მათ უარყვეს 4 აგვისტოს მომხდარი დარღვევის ფაქტი და არაერთარი ღონისძიება არ მიიღეს 12 აგვისტოს მომხდარი დარღვევის გამო.

აღიარეს რა თავიანთი პასუხისმგებლობა 10 და 11 აგვისტოს მომხდარი დარღვევებისათვის, ამერიკელებმა, როგორც ჩვეულებრივ, „ბოღიში" მოიხადეს და პირობა დაღეს, რომ არ დაუშვებენ ასეთი შემთხვევების გამეორებას. მაგრამ შეთანხმების მიუხედავად მათ ამ დანაირების შემდეგ მალე ახალი თვითმფრინავები გაგზავნეს კონფერენციის რაიონში.

აქ მეთვალყურენი ფიქრობენ, რომ ეს მუხანთობა წარმოადგენს ერთ-ერთ ამერიკულ ხერხს, რომელიც მიზნად ისახავს ჩაშალოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ.

ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმები კორეაში

ფხენიანი, 18 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის ავიაცია კვლავ ბარბაროსულად ესხმის თავს ჩრდილოეთ კორეის ქალაქებსა და სოფლებს. განსაკუთრებით გაფფთრებულად ბომბავენ და ცეცხლს უშენენ ფხენიანის, ვონსანის, ნამფოს, სარიონის, ჩჰონჯინის, იანდოკის, ანიკის, ხამხინისა და ანჯუს გარეუბნებს. ფაქტები ცხადყოფენ, რომ გაფფთრებული თავდასხმების ობიექტები არიან მშვიდობიანი მცხოვრებლები — გლეხები, ქალები და ბავშვები.

გუშინ დილით ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ფხენიანისა და ნამფოს მიდამოებს. ამერიკელმა მეკობრეებმა შენიშნეს, რომ პენტეკოლის რაიონში ფხენიანის მახლობლად მაღალ გორაკზე მრავალი ქალი და ბავშვი იყო. მათ ბომბები და ტყვიამფრქვევი დაუშინეს გორაკს, რათა ეს ადგილი ბომბებით ბომბავდეს.

ეს ბარბაროსული ბომბიანი ბომბ. ... ...